

# ჰანდეგია, დემოკრატია და შეერთებული შტატები: ბავლენა შავი ზღვის რეგიონზე



დევიდ ქრამერი

# **ჰანდეშია, დემოკრატია და შეერთებული შტატები: ბავლენა შავი ზღვის რეგიონზე**

*დევიდ კრამერი*

**დევიდ კრამერი** აშშ სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე, “ფრიდომ ჰაუსის” ყოფილი პრეზიდენტი, ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტივენ გრინის საერთაშორისო და საჯარო პოლიტიკის სკოლის ევროპისა და ევრაზიის მიმართულების ხელმძღვანელი, ვაცლავ ჰაველის ადამიანის უფლებების პროგრამის უფროსი მკვლევარი და „ამერიკული ინტერესის“ ავტორია.



პუბლიკაცია დაფინანსებულია Black Sea Trust - German Marshall Fund of the United States მიერ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Black Sea Trust-ის ან მისი პარტნიორების პოზიციას.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

# სარჩევი

განსაკუთრებით ცუდი კვირა.....	5
გავლენა დემოკრატიაზე და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე.....	6
გავლენა შავი ზღვის ქვეყნებზე .....	7

2020 წლის შესახებ ისტორიულ ცნობებში კოვიდ-19-ის პანდემიას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. ვირუსმა უმძიმესი შედეგები გამოიწვია: 9 ივნისის მდგომარეობით მსოფლიოში ვირუსით დაინფიცირების შემთხვევებმა 7 მილიონს მიაღწია, მათ შორის 400000 დაიღუპა. მოსალოდნელია ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა და შესაბამისად, ამ რიცხვების გაზრდაც. პანდემიამ მძიმე დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. 40 მილიონი ამერიკელი უმუშევრად მხოლოდ შეერთებულ შტატებში დარეგისტრირდა. ვირუსის გავრცელების რისკის შემცირებისთვის დანესებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა მსოფლიოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა.

მსხვერპლისა და ეკონომიკური ზიანის გარდა პანდემიამ დემოკრატიული განვითარებაც დაამუხრუჭა. „ეკონომისტის“ თანახმად, **80-ზე მეტ ქვეყნის** აღმსასრულებელ ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება გადაეცა. ვერავინ უარყოფს, რომ უპრეცედენტო მდგომარეობა, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით საგანგებო ზომების მიღებას საჭიროებს, თუმცა გვერდს ვერც იმ რისკებს აგუვლით, რომლებიც ხელისუფლების კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმების გარეშე დატოვებას ახლავს თან.

მოსკოვისა და პეკინის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა პანდემიის შემთხვევაშიც არასაიმედო გამოდგა, თუმცა ოფიციალური სტატისტიკის სანდობა ეჭვქვეშ მათზე ბევრად დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაშიც დადგა. სტატისტიკის ხელოვნური გაუმჯობესების ცდუნებას ბევრმა დემოკრატიულმა ქვეყანამაც ვერ გაუძლო. ვითარებას ამძიმებს ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმები, რაც ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას კიდევ უფრო ართულებს, დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების გავრცელებას კი ხელს უწყობს. რიგ შემთხვევებში ეს ლეიტალურ შედეგებს იწვევს.

დემოკრატიული განვითარება პანდემიამდეც გვარიანად შეფერხებული იყო. 14 წელია „ფრიდომ ჰაუსი“ პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მდგომარეობის გაუარესებას **აფიქსირებს**. პანდემია ამ სტაბილურად უარყოფით ტენდენციას, სავარაუდოდ, გააუარესებს.

## განსაკუთრებით ცუდი კვირა

ივნისის პირველი კვირა დემოკრატიისა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა, თუმცა ამ შემთხვევაში პანდემია არაფერ შუაში იყო. კვირის დასაწყისში პრეზიდენტმა ტრამპმა იმ ამერიკულ ქალაქებში, რომლებიც ჯორჯ ფლოიდის მკვლელობით გამოწვეულმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, შეიარაღებული ძალების შეყვანის აუცილებლობაზე დაიწყო საუბარი. ამავდროს, ტრამპმა უსაყვედურა გუბერნატორებს, რომლებსაც საპროტესტო ტალღის პირისპირ პასიურობასა და სისუსტეში დასდო ბრალი. თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა გუბერნატორებს „ბრძოლის ველზე დომინირებისკენ“ მოუწოდა.

თეთრი სახლის გვერდზე მდებარე ტაძართან პრეზიდენტისთვის ფოტო-სესიის უზრუნველსაყოფად პოლიციამ და უსაფრთხოების სამსახურმა ლაფაიეტის სკვერში შეკრებილი მშვიდობიანი მანიფესტანტები დაარბიეს. ეს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი მუხლით დაცული უფლების დემონსტრაციული დარღვევა იყო. ანტაგონიზმის გაღვივებისა და აგრესიული რიტორიკის გამოყენებამ გადამდგარ სამხედრო მეთაურებს, მათ შორის ყოფილ თავდაცვის მდივანს, ჯიმ მატისს, პრეზიდენტის საჯარო კრიტიკისკენ უბიძგა. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, კოლინ პაუელმა, დონალდ ტრამპს სიცრუეში დასდო ბრალი.

კვირის ბოლოს, 5 ივნისს, გავრცელდა **ინფორმაცია** ტრამპის მიერ გერმანიაში განლაგებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის შემცირების თაობაზე. ტრამპის ინიციატივით, იქ დისლოცირებულ 34500 სამხედრო მოსამსახურეს 9500 უნდა გამოკლებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღების ზუსტი მიზეზები ჯერ უცნობია. ტრამპსა და ანგელა მერკელს შორის დაძაბული ურთიერთობა წლების განმავლობაში უარესდებოდა. თავდაცვის ბიუჯეტი, კლიმატური ცვლილებები, „ჩრდილოეთის ნაკადი II“, სავაჭრო ურთიერთობები – უთანხმოების მიზეზები მრავლად იყო. რადიკალურად განსხვავებულია ტრამპისა და მერკელის მიდგომები დიპლომატიური ურთიერთობების მიმართაც. ამ განსხვავებების თვალსაჩინო მაგალითი იყო შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის, რიჩარდ გრენელის ქცევა, რომლის შეერთებულ შტატებში დაბრუნებასაც გერმანელები უჩვეული ენთუზიაზმით შეხვდნენ. მერკელმა უარი თქვა ტრამპის მიერ ზაფხულში დანიშნულ „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

მიზეზთა დამოუკიდებლად, ამერიკული სამხედრო კონტინგენტის მოკავშირეების გაფრთხილებისა და მათთან კონსულტაციის გარეშე შემცირება უარყოფითი სიგნალია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხვა წევრებისთვისაც. რას მიაჩნებდა ეს ნატო-ს წესდების მეხუთე მუხლთან მიმართებაში? მოკავშირეებზე თავდასხმის შემთხვევაში მათი დახმარებისადმი მზაობა ეჭვისქვეშ ჯერ კიდევ 2018 წლის ივლისში დადგა, როცა „ფოქს ნიუსის“ ტელენამყვანმა, ტაკერ კარლსონმა, პრეზიდენტ ტრამპს ჰკითხა, თუ რატომ უნდა დალუპულიყვნენ ამერიკელი ჯარისკაცები ნატო-ში ახლად განეწიანებული მაკედონიის გამო.

„ვთქვით, ნატო-ში შარშან განეწიანებულ მონტენეგროს თავს დაესხნენ. რატომ უნდა წავიდეს ჩემი შვილი მონტენეგროში და თავი განიროს ამ ქვეყნისთვის?“, შეეკითხა მას კარლსონი.

„იცით, მონტენეგრო პატარა ქვეყანაა, მაგრამ იქ ამაყი ხალხი ცხოვრობს. საკმარისია ისინი ვინმეზე გაბრაზდნენ და რამე მოიმოქმედონ და გილოცავთ, მესამე მსოფლიო ომში ხართ.“

როგორც მეხუთე მუხლის ეჭვქვეშ დაყენებას, ისე გერმანიაში კონტინგენტის შემცირების გადაწყვეტილებას მიესალმება რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. ასეთი ქცევა გვახსენებს ორი წლის ჰელსინკი-ში გამართულ ტრამპისა და პუტინის ერთობლივ პრესკონფერენციას. ჟურნალისტის მიერ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ დასმულ შეკითხვაზე ტრამპმა ამერიკის უსაფრთხოების სამსახურების დასკვნებს გვერდი აუარა და პასუხში პუტინის მიერ გამოთქმული ვერსია გაიმეორა.

ბოლო დროს ტრამპი და პუტინი ერთმანეთთან ბევრს საუბრობენ. 1 ივნისს, ავადსახსენებელ ფოტოსესიაზე გასვლამდეც, ტრამპი რუსეთის პრეზიდენტს ესაუბრა. ტრამპმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ის „დიდი შვიდეულის“ მომავალ შეხვედრაზე პუტინის მოწვევას აპირებს. ამ წინადადებას უარყოფითად შეხვდნენ შვიდეულის სხვა წევრები, მათ შორის კანადა, გერმანია და გაერთიანებული სამეფო. რამდენად შესაძლებელია ამ ბოლო საუბრისას ტრამპს პუტინთან გერმანიიდან ჯარისკაცების გამოყვანაც განეხილა?

# გავლენა დემოკრატიაზე და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე

ცხადია ეს ყველაფერი დემოკრატიაზე და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახება. ევროპელ პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ურთიერთობა საუკეთესო ფორმაში არც პანდემიამდე ყოფილა. მარტში ტრამპმა ევროპიდან შეერთებულ შტატებში მგზავრობა შეზღუდა. როგორც გაირკვა, ეს მან ევროპელების გაფრთხილების გარეშე გააკეთა. შეერთებულმა შტატებმა მინიმალური დახმარება აღმოუჩინა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ესპანეთსა და იტალიას, რამაც ჩინეთსა და რუსეთს პროპაგანდისტული ოპერაციებისთვის გაუხსნა ასპარეზი. ვაშინგტონის მიერ დატოვებული ვაკუუმის შევსების შესაძლებლობით მოსკოვმა დაუყოვნებლივ ისარგებლა.

პანდემიის უმძიმეს შედეგებთან მეზობლი ევროპელების მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით ტრამპმა ამერიკის საერთაშორისო პოზიციები დააზიანა. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ამერიკისადმი დადებითი განწყობები ევროპის ქვეყნების უმეტესობაში სუსტდება. ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის მომდევნო დღეებში ბერლინში, მადრიდში, პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში მდებარე შეერთებული შტატების საელჩოებთან ჯორჯ ფლოიდის მხრდამჭერი, პოლიციური ძალადობისა და დონალდ ტრამპის პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები გაიმართა.

ტრამპის ყურადღება ახლა მომავალ არჩევნებში გამარჯვებაზეა გადართული. არსებობს საშიშროება „ამერიკა უპირველესი ყოვლისა“ „მხოლოდ ამერიკით“ ჩანაცვლდეს. პუტინსა და სი ძინპინს ამაზე მეტად ცოტა რამ თუ გაახარებს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის შემთხვევაში ტრამპს არც კრიტიკა დაუშურებია – შეერთებულ შტატებში შექმნილი მძიმე ვითარება ვინმეს უნდა დაბრალებოდა.

მიდგომა განსხვავებულია პუტინის შემთხვევაში. აქ ტრამპი ჯიუტად ვერ ამჩნევს რუსეთის ლიდერის აგრესიულ პოლიტიკას: ომს უკრაინაში, საოკუპაციო ხაზის გადანევას საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში, ასადისა და ჰაფტარის კრიმინალური რეჟიმების მხარდაჭერას სირიასა და ლიბიაში. პუტინი აგრძელებს ოპოზიციის ლიდერებისა და სამოქალაქო აქტივისტების დევნას რუსეთში. სამწუხაროდ, ტრამპის მიერ შეერთებულ შტატებში გამოვლენილი ავტოკრატიული მიდრეკილებები აძნელებს პუტინის ანტი-დემოკრატიულ ქმედებებზე ადეკვატური პასუხის გაცემას.

მსგავს ტენდენციებს აქვს ადგილი ევროპაშიც. უნგრეთის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღჭურვა. ამ უფლებამოსილებების მისი მთავრობის კრიტიკოსებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ გამოყენებაში მას ხელს ვერაფერი შეუშლის.

ხელისუფლების სამიზნედ იქცნენ ჟურნალისტები რუსეთსა და თურქეთში. მათი დევნა ამჯერად მათ მიერ ვირუსის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების ბრალდებით მართლდება. რეპრესიულ ზომებს ვერც სამედიცინო პერსონალი გადაურჩა. დროის მოკლე მონაკვეთში კრიზისის ცუდი მართვის გამო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი სამი რუსი ექიმი **“ფანჯრიდან გადავარდა”**.

ამ დროს ტრამპს რასობრივი კონფლიქტით გამონვეული საპროტესტო ტალღის შეკავება უნევს. ტრამპის მიერ მომავალი არჩევნების ლეგიტიმაციაში ეჭვის შეტანამ, ამომრჩეველთა რიცხვის შემცირების მცდელობებმა და კონგრესისადმი მისმა უნდობლობამ შეერთებული შტატები სამაგალითი დემოკრატიის ნაცვლად დასაცინად აქცია. ეს იმათ მოედანზე გადაგდებული ბურთია, ვინც შეერთებულ შტატებს ფარისევლოებაში და ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში ადანაშაულებს.

„აირიშ თაიმისის“ ჟურნალისტმა **ფინლან ო'ტულმა** დანერა, რომ „ქვეყანა, რომელსაც ტრამპი მისი სიდიადის დაბრუნებას შეპირდა, ასე საცოდავად არასდროს გამოიყურებოდა.“ როგორ უნდა შეძლოს შეერთებულმა შტატებმა დემოკრატიაზე, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე სხვა ქვეყნებთან საუბარი, როცა ამერიკისადმი პატივისცემას ის ხალხი კარგავს, ვისთვისაც ის ზნეობრივი და პოლიტიკური მაგალითი იყო? პოლიციისა და სამხედროების მიმართ „ქუჩებში დომინირების“ მონოდეტებით ტრამპი ავტორიტართა კვალს მიყვება. მან შეერთებული შტატების რეპუტაცია შებლაღა, მნიშვნელოვნად გაართულა დემოკრატიის აქტივისტებისა და ადამიანის უფლებების დამცველების საქმე.

თუმცა არიან მოგებულებიც. ჩინეთის, რუსეთისა და ირანის ლიდერებს, პირიქით, მათი გეგმების შესრულება მეტი სითამამით შეუძლიათ. როგორც „ფრიდომ ჰაუსმა“ **ყოველწლიურ მოხსენებაში** ჩაწერა:

„დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერებისთვის **შეერთებული შტატები** მხარდაჭერისა და შთაგონების ტრადიციული წყარო იყო. კონგრესი ამ მიზნებისთვის განკუთვნილი პროგრამების დაფინანსებას განაგრძობდა. დღეს ძნელია იმის თქმა, რომ დემოკრატიის პრინციპებსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას ტრამპის ადმინისტრაციაც აგრძელებს...

ეს პრობლემა გააღრმავა დემოკრატიული ნორმებისა და სტანდარტების დასუსტებისთვის თავად შეერთებულ შტატებში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადადგმულმა ნაბიჯებმა. ამერიკის პრეზიდენტისა და სხვა პოლიტიკური ლიდერების მიერ თავისუფალი პრესის, კანონის უზენაესობისა და ამერიკული დემოკრატიის სხვა ფუნდამენტური ელემენტების წინააღმდეგ გამოყენებული აგრესიული რიტორიკა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამერიკის ლეგიტიმაციას მოუწოდოს სხვა მთავრობებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისკენ.“

## ბავლენა შავი ზღვის ქვეყნებზე

შავი ზღვის ქვეყნებისთვის ეს ამბები კარგს არაფერს მოასწავებს. თუმცა არის პოზიტიური სიგნალებიც. იანვარში, თითქმის ორ წლიანი პაუზის შემდეგ თბილისში შეერთებული შტატების ახალი ელჩი, კელი დეგნანი, ჩავიდა. კიევში ელჩად პრეზიდენტმა ტრამპმა შესანიშნავი რეპუტაციის მქონე ყოფილი სამხედრო, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი კის დეიტონი დანიშნა. უკრაინიდან გასულ წელს გამოწვეული მარი იოვანოვიჩის თანამდებობის დასაკავებლად დეიტონი ახლა სენატის მიერ მის დამტკიცებას ელოდება (ამ პერიოდში ელჩის მოვალეობას უილიამ ტეილორი ასრულებდა). ამ ორი ვაკანტური პოზიციის შევსებით შეერთებული შტატების რეგიონული დიპლომატია გაცილებით ეფექტური იქნება.

გვერდს ვერ ავუვლით ტრამპის ადმინისტრაციის მიერ უკრაინისთვის მისთვის ასე საჭირო მძიმე შეიარაღების მიწოდების ფაქტს. ამ შეიარაღების მიწოდებაზე კიევს ბარაკ ობამას ადინისტრაცია უარს რამდენიმე წლის განმავლობაში ეუბნებოდა. მიუხედავად ამ დადებითი ნაბიჯისა, ტრამპისა და მისი პირადი ადვოკატის, რუდი ჯულიანის ინტრიგებმა უკრაინა ამერიკის საშინაო პოლიტიკის ყველაზე ბინძურ თამაშებში გახვია. რა თქმა უნდა, ეს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე ძალიან უარყოფითად აისახა. პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხილვის დასრულების შემდეგაც კი, რესპუბლიკელების მიერ კონტროლირებადი სენატის ორი კომიტეტი აპირებს გააგრძელოს შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენისა და მისი შვილის უკრაინაში შესაძლო უკანონო ქმედებების ძიება. ეს უკრაინის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესების დამაბრკოლებელი იქნება.

1000-ზე ნაკლები შემთხვევითა და 13 გარდაცვლილით, საქართველოს მთავრობა და მოქალაქეები პანდემიასთან გამკლავების მისაბამ მაგალითებად იქცნენ. როგორც მეზობელი ქვეყნების დინამიკა ცხადყოფს, ინსტიტუტებისა და საზოგადოების პანდემიის ადრეულ ეტაპზევე დარაზმვამ საქართველოს უმძიმესი შედეგები ააცილა თავიდან. რუსეთში კოვიდ-19-ის შემთხვევები ნახევარ მილიონს აღწევს, მეზობელ სომხეთში, რომლის მოსახლეობა საქართველოზე ნაკლებია, 14000 შემთხვევა და 217 გარდაცვლილია (9 ივნისის მონაცემებით).

საქართველოს შემთხვევაში უმთავრესი საკითხი პანდემიის შემოდგომაზე გასამართ საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის პროცესზე გავლენაა. ხელისუფლებამ ყველა პროცედურა ამომრჩევლებისთვის უსაფრთხოდ უნდა ჩაატაროს. ამომრჩევლებს არ უნდა მოუწიოს საარჩევნო უფლებით სარგებლობასა და არჩევნებში მონაწილეობით საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებას შორის მძიმე არჩევანის გაკეთება. ეს საკითხი ახლა არჩევნების მოლოდინში მყოფ ყველა ქვეყანას, მათ შორის შეერთებულ შტატებსაც ეხება.

საქართველოს მთავრობამ უნდა შეასრულოს პოლიტიკატიმრების გათავისუფლების დაპირებაც – ორი მათგანი, გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი უკვე თავისუფალია, გიორგი რურუა კვლავ პატიმრობაშია. ახალი პარლამენტის ახალი წესით არჩევნებისთვის ოპოზიციამ და „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმების შესრულება ბოლომდე უნდა უზრუნველყონ. სრულუფლებიანი ელჩი შეერთებული შტატებს საშუალებას აძლევს ევროპელ მოკავშირეებს შეუერთდეს და მათთან ერთად გააგრძელოს საქართველოს დემოკრატიული განვითარების უწყვეტობაზე ზრუნვა.

2020 წლის პირველ ნახევარში მომხდარმა დრამატულმა მოვლენებმა გულგრილი და უვნებელი არავინ დატოვა. წლის მეორე ნახევარი არანაკლებ დატვირთული ჩანს. პანდემიის შესაძლო მეორე ტალღის გარდა საქართველოში, შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანი არჩევნებია დაგეგმილი. დემოკრატია ავტორიტარიზმის მძიმე გამოწვევის წინაშეა. წლის პირველი ნახევარი მტკივნეული პერიოდი აღმოჩნდა. იმედია, მეორე ნახევარი ნაკლებად საზიანო და უფრო იმედისმომცემი იქნება.



